ინდივიდუალური აუდიტორი
ილია ბორეცი

სერტიფიკატი №6/014 – 2011 წლის 12.09., ლიცენზია №248
სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი 025-2/325, საიდენტიფიკაციო კოდი 59001011678

44/06

15 ივნ. 2016 წ.

აუდიტორული დასკვნა

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ რეხის საჯარო სკოლის დირექციას

2016 წლის 30 მაისის მომმართვა MES 31600577189-ს თანახმად დამევალა დამედგინა საჯარო სოლის ბალანსზე რიცხული ყოფილი საქვაბე შენობის დემონტაჟის და დემონტაჟის შედეგად მიღებული მასალების სავარაუდო ღირებულება. საქვაბე შენობის ფართი შეადგენს 50 კვ. მეტრს.

შენობა აშენებულია ბლოკით, გადახურვა განხორციელებულია რკინა-ბეტონის კონსტრუქციით ოთხი ცალის ოდენობით რომლის ზომა შეადგენს 6*1.5 მეტრზე. სახურავი ბრტყელია და იმყოფება დაზიანებულ მდგომარეობაში რაც გამოიხატება შენობის შიგნით ნალექის დროს წყლის ჩადინებას.შენობას იატაკს წარმოადგენს მიწა.შენობაში შესასვლელი კარები შეკრულია ხრახნილით და წარმოადგენს გისოსს.

შენობას არ გააჩნია ფანჯარა. შენობის გარე ფასადი გალესილის ქვიშა-ცემენტის ხსნარით, რომელიც იმყოფება ზოგიერთ ნაწილში ჩამოშლილი კერძოდ ჩრდილოეთ მხარეს,ნალესის ჩამოშლამ გამოიწვია აღნიშნულ მხარეზე საკედლე ბლოკის დაზიანება. კოროზიის შედეგად დაზიანებულ ბლოკს უკავია სახურავის კონსტრუქციები რაც ქმნის სახურავის ჩამოშლის საშიშროებას.შენობის დემონტაჟის სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა მოიცავს:

1. რკინა-ბეტონის კონსტრუქციების დემონტაჟი კრანის გამოყენებით 150 ლარი
2. ლითონის გისოსის დემონტაჟი 20 ლარი
3. ბლოკის კედლის დემონტაჟი გამორჩევით 120 ლარი

სულ დემონტაჟის ხარჯი შეადგენს 290 ლარს

დემონტაჟის შედეგად შენობის მდგომარეობის (მორალური სიძველის,კოროზიის) გათვალისწინებით შესაძლოა ამოვიდეს საკედლე ბლოკე 50%-ს ოდენობით კერძოდ 900/ცხრაასი/ცალი და სახურავის რკინა-ბეტონის კონსტრუქცია 4/ოთხი/ ცალის ოდენობით.

მიღებული მეორადი მასალების ღირებულება შეადგეს:

საკედლე ბლოკე	900 ცალი ღირებულებით	360 ლარი
რკინა-ბეტონის კონსტრუქცია	4 ცალი ღირებულებით	200 ლარი
სულ		560 ლარი

დაშლის შედეგად მიღებული სამშენებლო ნარჩენები შესაძლებელია რეალიზებული იყოს ბლოკის საამქროებში შემდგომი გადამუშავებისათვის.

აუდიტორი: